საქართველოს მთავრობის განკარგულება

№130 2016 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტირებისათვის საპრიზო ფონდის განსაზღვრის შესახებ

დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.18.04.065) საცხოვრებელი კომპლექსის დაპროექტებისათვის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაგეგმილ სტუდენტურ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების საპრიზო ფონდის უზუნველსაყოფად, ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, მიმართოს 2 300 (ორი ათას სამასი) ლარი, საიდანაც:

ა) 1000 (ათასი) ლარი მიმართოს I ადგილზე გასული სტუდენტ(ებ)ის დაჯილდოებისათვის;

ბ) 800 (რვაასი) ლარი მიმართოს II ადგილზე გასული სტუდენტ(ებ)ის დაჯილდოებისათვის;

გ) 500 (ხუთასი) ლარი მიმართოს III ადგილზე გასული სტუდენტ(ებ)ის დაჯილდოებისათვის.

პრემიერ-მინისტრი _____ გიორგი კვირიკაშვილი